ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა

და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 12

ქ.ვანი თავისუფლებისN65 19 ნოემბერი 2018 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: ამირან ტალახაძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **-მიხეილ სვანაძე.**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - **ივანე მამფორია.**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი - **გიგა ბუაძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. .,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.

მომხს: /ივანე მამფორია/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.
კომისიის წევრების მხრიდან 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით იყო შენიშვნები და მოსაზრებები. მათ აღნიშნეს, რომ ჩვენი სამსახურისთვის გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი.

ბატონმა გიგა ბუაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი შენობა სადაც დღეს ვიმყოფებით არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, ძალიან გთხოვთ, რომ გაითვალისწინოთ ეს ჩვენი მდგომარეობა და უახლოეს მომავალში იქნებ გადაგვიყვანოთ ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელი იქნება მუშაობა.

კომისიის წევრებისა და მოწვეული სტუმრების მხრიდან სხვა შენიშვები არ დაფიქსირებულა.

მომხრე-7
წინააღმდეგი- არცერთი

/დანართი 2/

დაადგინეს:

წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებით და მოსაზრებებით მზად არის ბიუროს სხდომაზე გასატანად.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე